



აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის

შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 აპრილი, 2013 წელი

დრო: 10:00 – 12:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. გიგლა აგულაშვილი - პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
2. ლაშა ინაური - სოფლის მეურნეობის სამინისტრო
3. გიორგი მიშველაძე - სოფლის მეურნეობის სამინისტრო
4. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია (კოორდინატორი)
5. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
(მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
7. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
8. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
10. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
11. გიორგი შიომშვილი - კავკასიური სახლი - საქართველო
12. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
13. ზურაბ ფუტყარაძე - ჯანმრთელი სამყარო
14. ნანა გოგობია - კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
15. ლევან დადიანი - OXFAM-ის საქართველოს წარმომადგენლობა
16. ლერი გიგინეიშვილი - საქართველოს ფერმერთა სახლი
17. ედუარდ ლეკიაშვილი - მევენახეთა და მეღვინეთა კავშირი

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა დღის წესრიგი. შეხვედრის ძირითადი ნაწილის დაწყებამდე აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის კოორდინატორმა სტუმრებს მოკლედ გააცნო ქვეჯგუფის წევრი ორგანიზაციები, მისი მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები.

ამის შემდეგ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად დამსწრეებმა მუხლობრივად განიხილეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, მასთან დაკავშირებული ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მომზადდა ქვეჯგუფის წევრების მიერ.

პირველი შენიშვნა გამოითქვა კანონის რეგულირების სფეროსა და კანონის მიზანთან დაკავშირებით. ქვეჯგუფის კოორდინატორის აზრით, ტექსტში ნათლად არ არის მოცემული ის ურთიერთობები, რასაც კანონი არეგულირებს. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, კანონში ცალკე გამოიყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რითაც ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ეს არ არის ჩეულებრივი კოოპერატივი. სახელმწიფო დაეხმარება მხოლოდ იმ კოოპერატივებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ კანონში გაწერილ მიზნებს და მოიპოვებენ შესაბამის სტატუსს. ასეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მიეცემათ საგადასახადო შეღავათები, გრანტის მიღების შესაძლებლობა და სხვა უპირატესობები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია მიწების რეგისტრაციასთან. თუ პირს სურს მიწა აქციოს კოოპერატივის საერთო საკუთრებად, მაშინ ის აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს.

დამსწრეებმა იმსჯელეს დემოკრატიული მართვის პრინციპთან დაკავშირებით. კოორდინატორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა პროცესების მართვა ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ასოციაციის შესაქმნელად საჭიროა რამდენიმე კოოპერატივი მაინც. კოოპერატივების შესაქმნელად კი აუცილებელია კანონი, რომელიც ჯერ არ არსებობს.

ქვეჯგუფის წევრების მხრიდან გამოითქვა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კანონპროექტის ტექსტის თანახმად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავრობა განსაზღვრავს მხოლოდ იმ წესებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოსაპოვებლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტატუსის მოპოვება არ არის სავალდებულო ყველა კოოპერატივისთვის, ვინც სოფლის მეურნეობის სისტემაში იფუნქციონირებს. რამდენადაც ჯერ არ არის შექმნილი სტატუსის მქონე კოოპერატივები, პირველ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო კოოპერატივებს მიანიჭებს სტატუსს. სტატუსის მქონე ერთი კოოპერატივის შექმნის შემთხვევაში სამინისტროს აქვს უფლება დააფუძნოს ასოციაცია, რომელიც შემდეგ სტატუსს მიანიჭებს სხვა კოოპერატივებს.

აღინიშნა, რომ საჭიროა კანონპროექტში გაიწეროს კოოპერატივების შექმნის გარკვეული შეღავათები იმ რეგიონებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობენ. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ქალთა კოოპერატივების მხარდაჭერის დამატებითი ღონისძიებები. გადაწყდა, რომ ეს წინადადება წერილობით გაიგზავნება კომიტეტის თავმჯდომარესთან, რათა პარლამენტის კომიტეტების შეხვედრებზე მოხდეს მისი განხილვა.

შენიშვნა გამოითქვა ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებასა და შეწყვეტის იმ პუნქტზე, სადაც ნათქვამია, რომ განცხადებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და კოოპერაციის განვითარების ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საჭიროების შემთხვევაში თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების უფლება. კოორდინატორის აზრით, ეს დათქმა დამატებით ბიუროკრატიული ელემენტია. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივის წევრებს გაუჩნდებათ სურვილი მათ საკუთრებაში არსებული მიწები შეიტანონ კოოპერატივის საკუთრებაში, მაშინ ამონაწერი სავალდებულოა, რადგან უნდა დადგინდეს თუ ვისი ქონებაა კოოპერატივის საკუთრებაში. თუმცა თუ კოოპერატივი არ არის მიწაზე დაფუძნებული, ის რა თქმა უნდა ამონაწერს არ საჭიროებს. ქვეჯგუფის წევრების აზრით, ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს კოოპერატივების სახეობების დიფერენცირება.

დამსწრეებმა იმსჯელეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობასთან დაკავშირებით. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, პირველ ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული ინვესტორის წევრობა კოოპერატივში, რათა ინვესტორს თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა ის შეღავათები, რაც კანონით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის. კანონპროექტში დაკონკრეტებული არ არის ის საქმიანობა, რომლითაც უნდა იყოს დაკავებული კოოპერატივის წევრი. შესაბამისად, ეს საქმიანობა გულისხმობს როგორც ქონებას, ასევე ინტელექტუალურ საკუთრებას. ქვეჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ კანონპროექტში ეს საკითხი უფრო კონკრეტულად და ცალსახად უნდა იქნეს გაწერილი.

შემდეგი შენიშვნა გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, იურიდიული პირის მონაცემები საქართველოს კოოპერაციის განვითარების ასოციაციას შეჰყავს ელექტრონულ რეესტრში და გასცემს შესაბამის მოწმობას. ქვეჯგუფის კოორდინატორის აზრით, ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას იურიდიული პირის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობას. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, რეესტრის მინიჭება პირდაპირ დაკავშირებულია შეღავათებთან (გრანტის მიღება და სხვა). შესაბამისად, ამაში საგანგაშო არაფერია. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ გაუგებარია რას გულისხმობს მონიტორინგი, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს კოოპერაციის განვითარების ასოციაციას, არის ეს ფინანსური, აუდიტორული თუ სხვა სახის. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, რადგანაც არსებობს სტატუსის მოპოვების წესი, შესაბამისად არსებობს ამ წესის მონიტორინგის უფლებაც.

აღინიშნა, რომ გაურკვეველია თუ რას ნიშნავს კანონპროექტში მოცემული საჭირო ინფორმაციის ცნება, რომლის მოთხოვის უფლებაც აქვს ასოციაციას. ქვეჯგუფის წევრების აზრით, სასურველია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად გაიწეროს თუ რას გულისხმობს ეს ტერმინი და რა სახის ინფორმაციაზე ამ შემთხვევაში საუბარი. კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, იმ შემთხვევაში თუ კანონში თავიდანვე გაიწერება ყველა საჭირო ინფორმაცია, იკარგება მოქნილობის შესაძლებლობა და ხელი ეშლება კოოპერატივების შექმნის პროცესს. მისი განმარტებით, მსგავს საკითხებს შემდგომში დაარეგულირებს კოოპერაციის განვითარების ასოციაცია.

დამსწრეებმა იმსჯელეს ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებაზე, რომელიც კანონპროექტის თანახმად უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხს, როგორც არის სავალდებულო სარეზერვო ფონდის ფორმირების და განკარგვის წესი. OXFAM-ის წარმომადგენლის თქმით, ეს მექანიზმი ჩაიღო შიდა რეინვესტირების უზრუნველყოფისთვის და სარეზერვო ფონდი შეიქმნება კოოპერატივის მოგების ნაწილიდან.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია